



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ): 29.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24.09.2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საავიაციო ინჟინერიის დოქტორი 0716
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მაყაშვილი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ცინცაძე, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღულუნიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებულ პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება „საავიაციო ინჟინერიის დოქტორის“ კვალიფიკაცია. პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის დაგროვებას, აქედან სასწავლო კომპონენტის მოცულობას შეადგენს 60 კრედიტი, ხოლო კვლევითი კომპონენტის - 120 კრედიტი. სადოქტორო თემის კვლევითი კომპონენტები ნაწილდება 3 თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევადა, რომლებიც სრულდება III, IV და V სემესტრებში. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება VI (ან მომდევნო) სემესტრში.

პროგრამა ორიენტირებულია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის ეფექტურობის ამაღლების და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დარგში თეორიულად განსწავლული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.

პროგრამაში გათვალისწინებული ევროპის ანალოგიური უნივერსიტეტების გამოცდილება.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

„საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2020 წლის 29 ივლისს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით მოხდა გასაუბრება: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან, აკდემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა, შემოწმდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოწმდა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ლიტერატურის და დაცული დისერტაციების არსებობა. ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის. ვიზიტის დროს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პროცედურული დარღვევები არ დაფიქსირებულა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. პროგრამის ძირითადი მიზანია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტის და მკვლევრის ჩამოყალიბება. მიზნები რეალისტური და განხორციელებადია, ნათლად ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ტენდენციებს. პროგრამაში ასახულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასებები და რეკომენდაციები. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება სადოქტორო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგების შესაფასებლად ხორციელდება დოქტორანტის აკადემიური მოსწრების ანალიზი.

აკრედიტაციის მე-2 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოში გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომის მქონე პირები. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველს არ უდასტურდება ავიაციის ინჟინრის კვალიფიკაცია, სტატუსის მოპოვებისათვის უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს შიდა სასპეციალიზაციო გამოცდა. სასურველია დაკონკრეტდეს რა შინაარსის სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება მოუწევს დოქტორანტის სტატუსის მამდიებელს. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობებისა და ვადების განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის პრინციპი. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანია, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სადოქტორო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებთან. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო ჟურნალის „საჰაერო ტრანსპორტის“ ყოველწლიურ გამოცემას, მაგარამ აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია აღნიშნული გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. დოქტორანტებს აქვთ სამეცნიერო უცხოურ და ქართულ სამეცნიერო გამოცემებზე წვდომის შესაძლებლობა. პროგრამაში გამოყენებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და ერთობლიობაში ორგანიზებულია ისეთი სახით, რომ შესაძლებელს ხდის მათ მიღწევას. პროგრამის ფარგლებში ხდება დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, როგორც თეორიული, ისე საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოების განხორციელების დონეზე. გამოყენებული სწავლება-

სწავლის მეთოდების არსებულ სპექტრში, თანამედროვე მსოფლიოში არსებული გამოწვევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, განათლების აღნიშნულ საფეხურზე, მიზანშეწონილია ელექტრონული (დისტანციური) სწავლების მეთოდების გამოყენების გაფართოვება და შესაბამისი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით.

აკრედიტაციის მე-3 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების შესახებ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ, რომელიც მიმდინარეობს, და იღებენ მონაწილეობას. აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებს აქვთ შესაბამისი მატერიალური ბაზა რათა მოახდინონ თეორიული ცოდნის ლაბორატორიებში პრაქტიკული და ვიზუალური დამუშავება. სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით აქტივობების შესახებ. ადგილზე ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად იღებს მონაწილეობას სტუდენტთა კარიერულ განვითარებაში, დოქტორანტების დიდი ნაწილი აკადემიურ საქმიანობას ეწევა უნივერსიტეტში.

აკრედიტაციის მე-4 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საავიაციო სფეროში მუშაობისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, მათ ასევე გააჩნიათ გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო პერიოდში გამოცემული სტატიები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები. პერსონალი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში, ასევე მათი ჩართულობა საერთაშორისო, ძირითადად ევროპული ქვეყნების გაცვლით პროგრამებში. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის. წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის საჭირო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია, განხორციელებისათვის. აღნიშნული პერსონალი ასევე ჩართულია საავიაციო ტექნიკის, ასევე მისი ცალკეული სისტემების დაპროექტებისა და შექმნის პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას, უნივერსიტეტი შესაბამისად ზრუნავს მის განვითარებაზე. საჭირო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან, რომელიც ფორმირდება სტუდენტთა საბიუჯეტო გრანტებისა და ინდივიდუალური შემონატანების საფუძველზე.

აკრედიტაციის მე-5 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების ხარისხის ამაღლებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის დებულების, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს და სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე. უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგი ხორციელდება უწყვეტად და სხვა მეთოდებთან ერთად, ძირითადად ეფუძნება მიზნობრივი ჯგუფების გამოიკითხვისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. შედეგებიდან გამომდინარე მუდმივად მიმდინარეობს პროგრამების, პროცესების და რესურსების სრულყოფაზე მუშაობა, რაშიც ჩართულნი არიან შესაბამისი მიმართულების პასუხისმგებელი პირები. წარმოდგენილ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“, უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, შემუშავების ეტაპზე გავლილი აქვს გარე შეფასება. გარე შეფასება მოხდა დარგის სპეციალისტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების შესაბამისი გამოიკითხვებით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერიოდული თვითშეფასებით. გარე შეფასების უზრუნველყოფის ფარგლებში, აგრეთვე, არსებობს პროგრამის ზოგადი შეფასების ჩანაწერი პარტნიორი ან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. თუმცა, აღნიშნული შეფასება და რეკომენდაციები არ ფარავს დეტალურად პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს. პროგრამის მუდმივი მონიტორინგისათვის გამოყენებულია დოქტორანტთა პერიოდული გამოკითხვები. აღსანიშნავია აგრეთვე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების შეფასების შედეგების გათვალისწინება. უნივერსიტეტში სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, რაც აისახება შეფასების ფორმაში. მონიტორინგის გზით მიღებული შედეგების გათვალისწინების მიზნით, დადგენილი წესის შესაბამისად ხდება შედეგების განხილვა ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ხდება შესაბამისი რეაგირება, რაც საბოლოოდ ემსახურება პროგრამის განვითარებას. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის დადებით შედეგებზე მეტყველებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დადებითი შეფასებები სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების ნაშრომების თემატიკა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებსა და საჭირობო საკითხების დამუშავებაზე, რაც იძლევა საფუძველს ნაშრომების აქტუალიზაციისა და ხორცმესხმისათვის. გარე შეფასების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში მიზანშეწონილია მოხდეს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის ჩართულობის გაფართოება გარე შეფასების განხორციელებაში.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია დაკონკრეტდეს რა შინაარსის სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება მოუწევს დოქტორანტის სტატუსის მამიებელს იმ შემთხვევაში, თუ მას არ უდასტურდება ავიაციის ინჟინერიის მაგისტრის კვალიფიკაცია;
2. თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ საფეხურზე ელექტრონული სწავლების (დისტანციური სწავლების) მეთოდების ფართოდ გამოყენება;
3. სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ დოქტორანტთა მეტი ინფორმირება;
4. მიზანშეწონილია გაიზარდოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის „საჰაერო ტრანსპორტის“ გამოცემის პერიოდულობა;
5. გარე შეფასების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში მიზანშეწონილია მოხდეს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის ჩართულობის გაფართოება გარე შეფასების განხორციელებაში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის დადებით შედეგებზე მეტყველებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დადებითი შეფასებები სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით.
- საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების ნაშრომების თემატიკა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებსა და საჭირობოროტო საკითხების დამუშავებაზე, რაც იძლევა საფუძველს ნაშრომების აქტუალიზაციისა და ხორცშესხმისათვის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისა და ქვეყნის განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე თეორიულად განსწავლული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე ავიასაინჟინრო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და მკვლევრებით.

პროგრამის ძირითადი მიზანია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტის და მკვლევრის ჩამოყალიბება. მიზნები რეალისტური და განხორციელებადია, ნათლად ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ტენდენციებს.

პროგრამაში ასახულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც გამოიხატება ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებთან და სამრეწველო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“;
- o საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- o დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- o შეხვედრა დამსაქმებლებთან საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში;
- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://ssu.edu.ge>;
- o პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- o დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგები აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგების გათვალისწინებით. პროგრამა გადის 9 სწავლის შედეგზე. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი და რეალისტური. შეესაბამება სადოქტორო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, წარმოდგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი სამი კომპეტენციის მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის

მოთხოვნებს. გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასებები და რეკომენდაციები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით. სწავლის შედეგების რუკაში დადგენილია სწავლის შედეგების მიღწევის დონეები. სწავლის შედეგების შესაფასებლად ხორციელდება დოქტორანტის აკადემიური მოსწრების ანალიზი. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი (დოქტორანტების აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი), ასევე არაპირდაპირი (დოქტორანტების გამოკითხვის), შედეგები. უნივერსიტეტში ხორციელდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომლის შედეგების გაანალიზების საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. აღნიშნული შედეგების შეფასების ანგარიში გამოიყენება პროგრამის მოდიფიცირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“; - o სასწავლო კურსების სილაბუსები; - o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; - o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; - o სტუდენტთა შეფასების სისტემა: http://my.ssu.edu.ge/ - o დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; - o დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; - o თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; - o პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოში გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომის მქონე პირები. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველს არ უდასტურდება ავიაციის ინჟინრის კვალიფიკაცია, სტატუსის მოპოვებისათვის უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს შიდა სასპეციალიზაციო გამოცდა. სასურველია დაკონკრეტდეს რა შინაარსის სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება მოუწევს დოქტორანტის სტატუსის მამიებელს. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები და ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური აქტით, რომელიც ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანია, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთათვის პროგრამაში ჩასართავად, რაც ემსახურება დოქტორანტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“; - o პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; - o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება; - o დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; - o ვებ გვერდი https://ssu.edu.ge/; - o თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაკონკრეტდეს რა შინაარსის სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება მოუწევს დოქტორანტის სტატუსის მამიებელს იმ შემთხვევაში, თუ მას არ უდასტურდება ავიაციის ინჟინერიის მაგისტრის კვალიფიკაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს, აქედან სასწავლო კომპონენტებზე დათმობილი აქვს 60 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტებზე 120 კრედიტი. პროგრამის მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს - დოქტორანტურას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შემუშავებისას მონაწილეობა მიღებული აქვს დაინტერესებულ მხარეებს. გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, დამსაქმებელთა მოსაზრებები, დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგები, დოქტორანტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სადოქტორო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. პროგრამაში შეძგავალი თითოეული სასწავლო კურსი და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, რაც განპირობებულია დაშვების წინაპირობით. უზრუნველყოფილია სასწავლო კურსის არჩევითობა. მტკიცებულებები/ინდიკატორები o სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“;
--

- o სასწავლო კურსების სილაბუსები; - o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; - o დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგები; - o პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; - o უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://ssu.edu.ge/; - o პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; - o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; - o თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; - o დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; - o დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
--

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და ტექნოლოგიების“ სადოქტორო პროგრამა მოიცავს 12 სასწავლო კურსს და 4 კვლევით კომპონენტს. სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან და შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-8 დონე). ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო თითოეული სასწავლო კომპონენტის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და მიღწევადს ხდის კომპონენტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. პროგრამა თავისი სტრუქტურით, წინაპირობებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელს ხდის დოქტორანტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული უნარები. დარგობრივი კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის შერჩეული თანამედროვე ლიტერატურით და განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები, უსდ - ის მიერ ჩატარებული დოქტორანტთა გამოკითხვები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასაკმარისი ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ ძირითადად ორიენტირებულია სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. აუცილებელი კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფა გამოხატულია დოქტორანტის სამუშაო გეგმაში, ცალკეულ სასწავლო კურსში მოცემული კონკრეტული ხასიათის პროექტების და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულებაში. დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის ზედამხედველობით პრაქტიკული მოღვაწეობისას შეიძინოს თანამედროვე საავიაციო საინჟინრო გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს აქტიურად ჩაერთოს ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-ტექნოლოგიურ პროექტებსა და კონფერენციებში. დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკულ-დანერგვითი უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს ყოველწლიური საუნივერსიტეტო სტუდენტთა კონფერენციები. სამეცნიერო შრომები ქვეყნება სხვადასხვა ჟურნალში, მათ შორის

საავიაციო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „საჰაერო ტრანსპორტი“. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ სამეცნიერო ჟურნალის ყოველწლიურ გამოცემას. მაგარამ უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია აღნიშნული გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. დოქტორანტების ხელის შეწყობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიერ სადოქტორო პროგრამების დაფინანსება. დოქტორანტებს ხელმძღვანელობას უწევდნენ დარგში გამორჩეული ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 0 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“; 0 მემორანდუმები და ხელშეკრულებები კომპანიებთან და დარგის ორგანიზაციებთან; 0 მონაცემები დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის შესახებ; 0 დოქტორანტთა თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; 0 უნივერსიტეტის ვებგვერდი https://ssu.edu.ge/; 0 ჟურნალი „საჰაერო ტრანსპორტი“; 0 სამეცნიერო კონფერენციების პროგრამები და თეზისების კრებულები; 0 შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უნივერსიტეტის დოქტორანტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.; 0 დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; 0 პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; 0 აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. 0 საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით ბაზებზე ვიზიტის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია გაიზარდოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის „საჰაერო ტრანსპორტის“ გამოცემის პერიოდულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“, კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, გამოყენებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და ერთობლიობაში ორგანიზებულია ისეთი სახით, რომ შესაძლებელს ხდის მათ მიღწევას. გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ითვალისწინებს, როგორც ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობებს, ისე ლაბორატორიულ მუშობას, კონსულტაციებს, სამუშაო ჯგუფებში მუშაობას და სხვ. აღსანიშნავია, სწავლების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა ისეთ აქტივობებში როგორიცაა შემთხვევების ანალიზი, დისკუსიები, გონებრივი იერიში, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვა. პროგრამის ფარგლებში ხდება დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, როგორც თეორიული, ისე საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოების განხორციელების დონეზე. აღნიშნული ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკის შესაბამისად, რისთვისაც უზრუნველყოფილია სათანადო რესურსების ხელმისაწვდომობა, უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის თუ პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების არსებულ სპექტრში, თანამედროვე მსოფლიოში არსებული გამოწვევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, განათლების აღნიშნულ საფეხურზე, მიზანშეწონილია ელექტრონული (დისტანციური) სწავლების

მეთოდების გამოყენების გაფართოვება და შესაბამისი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საპაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“; - o სასწავლო კურსების სილაბუსები; - o „სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება“ - o მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან; - o თანამშრომლობის მემორანდუმები უნივერსიტეტებთან; - o ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ საფეხურზე ელექტრონული სწავლების (დისტანციური სწავლების) მეთოდების ფართოდ გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის, საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02). „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორ სახის უარყოფით შეფასებას. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ექვემდებარება აგრეთვე მე-3 ბრძანებას. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად სემესტრში, დაცვის დამთავრებისთანავე საბჭოს თითოეული წევრის მიერ ფარული კენჭისყრით, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით. დისერტაციის შეფასებისათვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. სადისერტაციო საბჭოს ყოველი წევრი აფასებს სადისერტაციო ნაშრომს. საბოლოო ქულა მიიღება საბჭოს წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკულით. ამასთან დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ სადისერტაციო საბჭოს წევრთა უმრავლესობა მას აფასებს 21-ზე ნაკლები ქულით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას დაცულია ანონიმურობის პრინციპი. პროფესორს საგამოცდო ნაშრომი გადაეცემა დაშიფრული სახით, შესაბამისად ლექტორი ვერ ახდენს სტუდენტის იდენტიფიცირებას, რაც კიდევ უფრო მეტად ობიექტურს ხდის შეფასების პროცესს. გასწორებული ნაშრომი უბრუნდება სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, სადაც ხდება ნაშრომზე შიფრის მოცილება და ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალში შესაბამისი ქულის შეტანა. გამოცდის შედეგები სტუდენტისათვის ცნობილი ხდება ელექტრონული აღრიცხვის მეშვეობით.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში არსებობს დოკუმენტი - დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელშიც განმარტებულია სადოქტოროსტრო ნაშრომის გაფორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, გამოყენებული წყაროების დამოწმების ნორმები. ნაშრომები პლაგიატზე მოწმდება პროგრამა “Urkund”-ის საშუალებით.

გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს

მისთვის მიუღებელი შეფასება. ამ მიზნით სტუდენტი მიმართავს საგამოცდო ცენტრს და ნამუშევარი ეგზავნება სააპელაციო კომისიას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ხელმეორე გასაჩივრების (კასაციის) წესი, რაც ობიექტურობისა და მიუკერძოებულობის მეტ შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o პროგრამის კურიკულუმი; - o პროგრამის სილაბუსები; - o თვითშეფასების ანგარიში; - o 2018 წლის 20 თებერვლის დადგენილება # 23 „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“; - o დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; - o საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; - o ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიში საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების შესახებ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს.

უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული საინფორმაციო(LMS) სისტემა, აღნიშნულ სისტემაში ხდება ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზება, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსება. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ, რომელიც მიმდინარეობს, და იღებენ მონაწილეობას. აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებს აქვთ შესაბამისი მატერიალური ბაზა რათა მოახდინონ თეორიული ცოდნის ლაბორატორიებში პრაქტიკული და ვიზუალური დამუშავება თუმცა აღსანიშნავია, რომ დანადგარებზე მანიშნებლები ძირითადად მითითებულია მხოლოდ ერთ უცხო ენაზე(რუსულად), სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ როდესაც ტერმინი მანიშნებელზე გაუგებარია ლექტორებს მიმართავენ დასახმარებლად. სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით აქტივობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; - o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; - o ინტევიუ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; - o ვიზუალური დათვალიერება საუნივერსიტეტო ინრასტრუქტურის; - o გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები; - o საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიში საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აქტიურად იყენებენ საერთაშორისო აკადემიურ ბაზებს და უნივერსიტეტი აზლევს მათ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში აგრეთვე გამოაქვეყნონ სტატიები.

ადგილზე ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად იღებს მონაწილეობას სტუდენტთა კარიერულ განვითარებაში, დოქტორანტების დიდი ნაწილი აკადემიურ საქმიანობას ეწევა უნივერსიტეტში. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მიმართულებაზე არსებული სტრუქტურა ხელს უწყობს დოქტორანტთა კარიერულ განვითარებას, აგრეთვე აკადემიური მიმართულებით: ბაკალავრიატზე ახალი თაობის ლექტორები ასწავლიან სტუდენტებს, მაგისტრატურაზე შერეულია ასაკობრივი ნიშნული, დოქტორატურაზე ყველაზე ფროსი თაობის და მეტი გამოცდილების პერსონალი გვხვდება, აღნიშნული სტრუქტურა ხელს უწყობს დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდინის გავრცელებას და აგრეთვე კულტურული ღირებულებების გადაცემას ერთი თაობიდან მეორეზე.

სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტთა მეტი ინფორმირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტეგრირებული ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- o ვიზუალური დათვალიერება საუნივერსიტეტო ინრასტრუქტურის;
- o გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები;
- o საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები;
- o სადისერტაციო ნაშრომი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტთა მეტი ინფორმირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საავიაციო სფეროში მუშაობისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, მათ ასევე გააჩნიათ გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო პერიოდში გამოცემული სტატიები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები. პერსონალი მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში, ასევე ჩართულები არიან საერთაშორისო, ძირითადად ევროპული ქვეყნების გაცვლით პროგრამებში. აღნიშნული პერსონალი ასევე ჩართულია საავიაციო ტექნიკის, ასევე მისი ცალკეული სისტემების დაპროექტებისა და შექმნის პროცესებში. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის.

მოწვეული პერსონალის შერჩევისათვის, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით, სადაც აღწერილია პერსონალის მართვის ზოგადი პრინციპები. ხოლო აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“, უნივერსიტეტის დებულებისა და აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების ერთიანი წესის საფუძველზე.

წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო პროგრამის, განხორციელებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - o აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი; - o აკადემიური დატვირთვის წესი; - o პერსონალის მართვის პოლიტიკა; - o პერსონალის შეფასების პროცედურა; - o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; - o მოწვეული, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; - o ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან; - o სახელმძღვანელო მასალა (ლექციების კურსები).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების პოლიტიკა, რომლითაც შესძლებს პერსონალის კომპეტენციის დადგენას დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის, ასევე მომავალში მათი საჭიროებების დადგენისა და სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფას. უნივერსიტეტში ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა თემატური კონფერენციები, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები, აკადემიური, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს ასევე საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორი უნივერსიტეტების და საავიაციო სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში. შესაბამისად უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o თვითშეფასების ანგარიში - o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან - o პერსონალის მართვის პოლიტიკა - o პერსონალის შეფასების პროცედურა - o ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსები, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების, ელტექნიკისა და ელექტრონიკის, რადიონავიგაციის, რადიოლოკაციის, რადიოკავშირის, საავიაციო ძრავების, საჰაერო ხომალდების ფუნქციური სისტემების, საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების თანამედროვე ლაბორატორიები და აეროდინამიკური მილები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია თანამედროვე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას, უნივერსიტეტი შესაბამისად ზრუნავს მის განვითარებაზე. უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ასევე სტუდენტური საკონსტრუქტორო ბიურო, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გარკვეული საკონსტრუქტორო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- o საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგი;
- o ელექტრონული ბაზები და რესურსები;
- o თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჰერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან, რომელიც ფორმირდება სტუდენტთა საბიუჯეტო გრანტებისა და ინდივიდუალური შემონატანების საფუძველზე. პროგრამისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა რეალურია და ეკონომიკურად მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საინჟინრო ფაკულტეტის პროგრამების ბიუჯეტი o ფინანსური სამსახურის დებულება საადრიცხვო პოლიტიკა

- o თვითშეფასების ანგარიში - o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების ხარისხის ამაღლებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის დებულების, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს და სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

სამსახური, შესაბამისი ფაკულტეტების სათანადოდ მომზადებულ პერსონალთან ერთად, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით, სათანადო კითხვარების გამოყენებითა და განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად უზრუნველყოფს შიდა ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას, რომლის მეშვეობითაც ხდება პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების დადგენა, შეფასების განხორციელება და მიღებული შედეგების გამოყენება სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგი ხორციელდება უწყვეტად და სხვა მეთოდებთან ერთად, ძირითადად ეფუძნება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვებში გათვალისწინებულია პროგრამები, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილება, ინფრასტრუქტურა/მატერიალური ბაზა, საჭიროებები, აკადემიური პერსონალი და სხვა. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. შედეგებიდან გამომდინარე მუდმივად მიმდინარეობს პროგრამების, პროცესების და რესურსების სრულყოფაზე მუშაობა, რაშიც ჩართულნი არიან შესაბამისი მიმართულების პასუხისმგებელი პირები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- o სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი;
- o სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება;
- o პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- o საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

- o „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა; - o ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“, უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, შემუშავების ეტაპზე გავლილი აქვს გარე შეფასება. გარე შეფასება მოხდა დარგის სპეციალისტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების შესაბამისი გამოკითხვებით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერიოდული თვითშეფასებით. გარე შეფასების უზრუნველყოფის ფარგლებში, აგრეთვე, არსებობს პროგრამის

ზოგადი შეფასების ჩანაწერი პარტნიორი ან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. თუმცა, აღნიშნული შეფასება და რეკომენდაციები არ ფარავს დეტალურად პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებისაგან და კურსდამთავრებულებისგან მიღებული გარე შეფასებების შედეგების გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, პროგრამის მიზნების და შედეგების თავსებადობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. გარე შეფასების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში მიზანშეწონილია მოხდეს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის ჩართულობის გაფართოება გარე შეფასების განხორციელებაში, რის შესახებაც სასურველია უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი ჩანაწერების შენახვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა; - o ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; - o გამოკითხვის შედეგების ანალიზი; - o ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები; - o თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან; - o მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გარე შეფასების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში მიზანშეწონილია მოხდეს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის ჩართულობის გაფართოება გარე შეფასების განხორციელებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წამოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტში დადგენილი წესის თანახმად ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას, რომელსაც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

პროგრამის მუდმივი მონიტორინგისათვის გამოყენებულია დოქტორანტთა პერიოდული გამოკითხვები. აღსანიშნავია აგრეთვე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების შეფასების შედეგების გათვალისწინება.

უნივერსიტეტში სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, რაც აისახება შეფასების ფორმაში. მონიტორინგის გზით მიღებული შედეგების გათვალისწინების მიზნით, დადგენილი წესის შესაბამისად ხდება შედეგების განხილვა ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ხდება შესაბამისი რეაგირება, რაც საბოლოოდ ემსახურება პროგრამის განვითარებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის დადებით შედეგებზე მეტყველებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დადებითი შეფასებები სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების ნაშრომების თემატიკა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებსა და საჭირობოროტო საკითხების დამუშავებაზე, რაც იძლევა საფუძველს ნაშრომების აქტუალიზაციისა და ხორცშესხმისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - o „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა; - o საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; - o ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; - o პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა; - o გამოკითხვის შედეგების ანალიზი; - o ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები; - o თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის დადებით შედეგებზე მეტყველებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დადებითი შეფასებები სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით. • საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების ნაშრომების თემატიკა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებსა და საჭირობოტო საკითხების დამუშავებაზე, რაც იძლევა საფუძველს ნაშრომების აქტუალიზაციისა და ხორცშესხმისათვის.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და
ტექნოლოგიები“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
გივი სანაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
გიორგი მაყაშვილი



ნანა ცინცაძე



თამარ ლულუნიშვილი

